



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N19

ქ. მარნეული

25.10.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ ჯაფაროვი

არ ესწრებოდა:

- ნიკოლოზ გოგოჭური, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, აგილ მუსტაფაევი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, მახირ იუსუბოვი, აგილ ფაშაევი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12144 წერილის განხილვის შესახებ.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N32. 25.10.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12144 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქალაქ მარნეულში, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის საეპისკოპოსო რეზიდენციის შენობა – ნაგებობის ნაწილისა და ეზოს ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, რომლის სავარაუდო ღირებულება, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის ლერი ფანგანის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4426-03 მოხსენებითი ბარათის მიხედვით შეადგენს 50 ათას ლარს. გამოითქვა აზრი, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩასატარებელია, რისთვისაც საჭიროა 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხა, რის გამოც საოქმო ჩანაწერი, შემდგომი რეაგირებისათვის უნდა გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 23 ოქტომბრის N03/12100 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N91. 25.10.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12138 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N23“-ის ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N23-ში მდებარე კორპუსზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი/მ. „დომენტი ჯიჯელავა“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი – 2094 კვ.მ., განაშენიანების ფართი შენობა 01–659 კვ.მ; 02–15 კვ.მ; 03–15 კვ.მ; 04–15 კვ.მ; 05–18 კვ.მ; 06–18 კვ.მ; 07–16 კვ.მ; 08– 17 კვ.მ; 09–16 კვ.მ; 10–17 კვ.მ; 11–24 კვ.მ; 12–15 კვ.მ).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N90. 25.10.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეცხრამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევო